

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ  
საკითხთა და ეთიკის კომისია

2800 ქ. ლანჩხუთი, კოსტავას N37 ტელ: 591324141

N 266

17/05/2016

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 აპრილს N 146 განცხადებით მომართა სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანის საჯარო სკოლამ, სადაც ითხოვს საკრებულოს თანხმობას აღნიშნული სკოლისათვის 2008 წლის ომში გმირულად დაღუპული, რუსლან წულაძის სახელის მინიჭებას.


გამომდინარე აქედან, „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4<sup>1</sup> მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად საჭიროა საკრებულომ გამოხატოს თანხმობა სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანის საჯარო სკოლისათვის სამშობლოს დაცვისათვის დაღუპული რუსლან წულაძის სახელის მინიჭების თაობაზე.

წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ მომზადებულ განკარგულების პროექტს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

რომან ბიწაძე



კომისიის თავმჯდომარე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
განკარგულება №  
2016 წლის მაისი  
ქ. ლანჩხუთი

სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანის საჯარო სკოლისათვის სამშობლოს  
დაცვისათვის დაღუპული რუსლან წულაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4<sup>1</sup> მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანის საჯარო სკოლისათვის 2008 წლის აგვისტოს ომში, გმირულად დაღუპული რუსლან წულაძის სახელის მინიჭების შესახებ.

**მუხლი 2.** განკარგულება გადაეგზავნოს სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანის საჯარო სკოლას.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე